მშენებლობის ორგანიზების პროექტი



ტერესის რეკონსტრუქციის პროექტი

ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის
ს/კ: 01.13.08.001.020

შეადგინა: ს. ლობჟანიძე

განმარტებითი ბარათი

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

• პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისი, მტვრის მარცხენა სანაპირო, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის, (ს/კ 01.13.08.001.020) მიწის ნაკვეთზე არსებული
რესტორნის მეორე სართულზე არსებული ტერასის რეკონსტრუქციას.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის ((ნაკვ.1/20) საკ.კოდი 01.13.08.001.020.). ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1290 კვ.მ-ს, მასზე განთავსებულია სხვადასხვა ზომის 6 ნაგებობა, მთავარი(ყველაზე დიდი) შენობა წარმოადგენს რესტორანს. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხვამლის ქუჩა, სამხრეთიდან დგებუაძის ბაღი, აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორია ხოლო დასავლეთით მარცხენა სანაპირო და მდინარე მტკვარი.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

პროექტის მიხედვით იგეგმება ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული ორ სართულიანი შენობის რეკონსტრუქცია. პირველი სართული დათმობილი აქვს სათავსოებს ხოლო მეორე სართული წარმოადგენს გადახურულ ტერასას, შენობის სამხრეთით მდებარე რესტორნის სტუმრებისთვის. ტერასა სამი მხრიდან გარშემორტყმულია ბლოკის წყობის კედლებით და გადახურულია მსუბუქი კონსტრუქციით (გაბარიტული ზომები 22.80X8.40 მეტრი) პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტერასის, სანაპიროზე გამავალი ფასადის შემინვა, კერძოდ გადახურვის მზიდი ლითონის სვეტებს შორის მუქი ყავისფერი, ხის ფაქტურიანი პროფილის მეტალო-პლასტმასის ვიტრაჟების მოწყობა.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

სარეკონსტრუქციო შენობის პირველი სართულის ძირითადი სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონის(რკინაბეტონის) სვეტებისგან. საძირკველი წარმოდგენილია რკინაბეტონის ფილის სახით, სართულშუა გადახურვისთვისაც გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა, კედელბის შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკები. ტერასის გადახურვის მზიდი სტრუქტურა შესრულებულია გაგლინული ფოლადის ელემენტებისაგნ, რომელიც დასრულებულია მსუბუქი გადახურვით.პროექტს თან ერთვის კონსტრუქციული დასკვნა, რომელიც გულისხმობს, რომ ტერასის სვეტებს შორის ვიტრაჟების მოწყობა შესაძლებელია და ის არ გააუარესებს ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობას.

სამშენებლო სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I - რიგის სამუშაოები:

I - ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ტერიტორიის შემოღობვა საკადასტრო საზღვრებში, ქუჩის მხარეს ღობე უნდა იყოს გადახურული,
უნდა მოეწყოს მომუშავე პერსონალისთვის განკუთვნილი გამოსაცვლელი სათავსი,
აღნიშნული ეტაპის სამუშაოების შესრულების ვადა - **1 თვე.**

II - ეტაპი: არსებული ტერასიდან მოხდება ლითონის მოაჯირების დეონტაჟი და დასაწყობება მოხდება სპეციალურ ადგილას. სამუშაოების შესრულების ვადა – **1 თვე.**

II - რიგის სამუშაოები:

III - ეტაპი

. ვიტრაჟების განთსავსება - **3 თვე;**

ტერასაზე არსებული ლითონის ბოძები შეიფუთება აგურით ხოლო ღიობებში მოეწყობა მეტალოპლასმასის ვიტრაჟები.

IV - ეტაპი.

ტერიტორიის დასუფთვება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები -**1 თვე;**

სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება ტერიტორიის დასუფთავება და სამშენებლო ნარჩენები წაღებული იქნება სპეციალურ ნაგავსაყრელეზე.

მშენებლობის ორგანიზების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ღონისძიებები დამუშავებულია снип
3.01.01-85-ის თანახმად და მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიათა პირობების გათვალისწინებით, ამავე დროს ისისნი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილას რათა არ მოხდეს მათი დაცურება.

შიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე, სამონტაჟო მექანიზმების მუშაობის პერიოდში, მის ქვეშ ან მის სიახლოვეს უცხო ან

სამონტაჟო საქმეში დაუსაქმებელი პირის ყოფნა იკრძალება.
გარემოს დაცვის ღონისძიებები
გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.
პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობის პროცესში ნაკლებად იყოს გამოყენებული ტოქსიკური სამშენებლო
მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი, სამშენებლო მოედანი აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:
-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ეკოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.
გარემოს დაცვის სამსახურის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ბეტონის ტუმბოების საშუალებით.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას, ფასადებს უნდა ჩამოეფაროს სამშენებლო ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.
მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღიჭურვოს კონუსური ნაგავგამტარით და ნაგვის გადმოყრა უნდა მოხდეს
უშუალოდ ავტოთვითმცლელის ძარაში.



H = I / Y = 8010/0.4=20025

ტერესის რეკონსტრუქციის პროექტი

ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის

ს/კ: 01.13.08.001.020

№	I რიგის სამუშაოები ლითონის მოაჯირების სადემონტაჟო და მოსამზადებელი სამუშაოები	I თვე			II თვე			III თვე			IV თვე			V თვე			VI თვე		
		10 დღე	20 დღე	30 დღე	10 დღე	20 დღე	30 დღე	10 დღე	20 დღე	30 დღე	10 დღე	20 დღე	30 დღე	10 დღე	20 დღე	30 დღე	10 დღე	20 დღე	30 დღე
I ეტაპი	მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ტერიტორიის შემოღობვა სარეკონსტრუქციო ნაწილის მიმდებარედ, ქუჩის მხარეს ღობე უნდა იყოს გადახურული, უნდა მოეწყოს მომუშავე პერსონალისთვის განკუთვნილი გამოსაცვლელი სათავსი.																		
II ეტაპი	არსებული ტერასიდან მოხდება ლითონის მოაჯირების დემონტაჟი და დასაწყობება მოხდება სპეციალურ ადგილას																		
	II რიგის სამუშაოები მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები																		
III ეტაპი	ვიტრაჟების განთავსება																		
IV ეტაპი	ტერიტორიის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები																		

შეადგინა: ს. ლობჟანიძე